



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 10-36  
---

28 აპრილი  
“ --- ” ----- 2015 წ.

## ქ. თბილისი

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის N17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის N17-49 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 16/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.101.016045) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) K<sub>2</sub> არის მიწის ნაკვეთისათვის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;“

ბ) ინსტრუქციას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> პუნქტი:

„3<sup>1</sup>. თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი დეტალური ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მოსაკრებლის ოდენობის გამოანგარიშება უნდა მოხდეს თითოეული ზონისათვის ინდივიდუალურად. სხვადასხვა მიწის ნორმატიული ფასის არსებობის შემთხვევაში, იგივე წესი მოქმედებს ერთ მიწის ნაკვეთზე.“

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის #17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) პროექტის მიღების მიზეზი

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის #17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა პრაქტიკაში წამოჭრილმა პრობლემებმა, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ინსტრუქციის რიგი რეგულაციები საჭიროებს დაზუსტებას.

ბ) პროექტის ძირითადი არსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის #17-49 დადგენილებით დამტკიცებული “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის” მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი. დადგენილ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტში იგულისხმება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი, თუმცა აღნიშნული ნორმის არსებული ფორმულირება პრაქტიკაში წარმოშობს განმარტების ალტერნატივებს. კერძოდ, ხშირ შემთხვევებში, გაურკვევლობის საგანი ხდება, თუ რას მოიაზრებს ტერმინი „დადგენილი“ და საიდან უნდა მოხდეს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებისთვის არსებული მოსაკრებლის დაანგარიშება. გამომდინარე აქედან, პროექტით დაზუსტდება ნორმა და „დადგენილი“-ს ნაცვლად მიეთითება „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი“ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი, რაც აღმოფხვრის პრაქტიკაში არსებულ უზუსტობებს.

წინამდებარე პროექტი, ასევე, ითვალისწინებს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის დათვლის წესს იმ შემთხვევისთვის, როდესაც ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება რამოდენიმე ფუნქციური ზონა და სხვადასხვა მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი. აღნიშნულ შემთხვევაში მოსაკრებლის ოდენობის გამოანგარიშება თითოეული ზონისათვის და მიწის ნაკვეთის ნაწილისათვის განხორციელდება ინდივიდუალურად.

გ) პროექტის ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

დ) პროექტის ავტორ(ებ)ი და წარმდგენი:

დ.ა) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ.ბ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.